საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთაწმინდა

მთაწმინდა, მთა ახალგორის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ხარულის ქედზე, მდ-ების ლეხურისა (მტკვრის მარცხ. შენაკადი) და ნახიდურის (ქსნის მარჯვ. შენაკადი) სათავეში და წარმოადგენს მათ წყალგამყოფს. სიმაღლე ზ. დ. 2279 *მ.* აგებულია ცარცული ასაკის თიხაფიქლების, ქვიშაქვებისა და კირქვებისაგან. მთის ქვედა ნაწილი შემოსილია ფართოფოთლოვანი და შერეული ტყით, ხოლო ზედა, თხემური ნაწილი - სუბალპური მდელოთი.